# თავისუფალი საქართველო

№29

6-12 აგვისტო

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთიანი ჩეჩნეთის საჩუქრები რუსეთის პრეზიდენტს

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე, ფედერალურმა ჯარებმა ახალი ძალითა და სისასტიკით განაახლეს საბრძოლო მოქმედებები ჩეჩნეთში. ქალაქებისა და სოფლების დაბომბვებს თან სდევს რუსის ჯარისკაცისთვის ჩვეული, პირუტყვული მოპყრობა მოსახლეობისადმი, ადამიანების დამცირება და შეურაცხყოფა. რუსეთის ჯარის ამგვარი ქმედებით გამოწვეული მოსახლეობის აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ თვით დოკუ ზავგაევმაც კი გამოთქვა უკმაყოფილება ამის თაობაზე და აღუთქვა ჩეჩნეთს, რომ შეწყვეტდა საბრძოლო მოქმედებებს. საქმეში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანისთვის ნათელია, რომ ჩეჩნეთის მარიონეტული ხელისუფლების მეთაური, მართლაც რომ სურდეს ომის შეჩერება, ამას ვერასგზით შეძლებს, რადგან თვითონ და მისი ხელისუფლება მთლიანად არის დამოკიდებული რუსეთზე და ჩეჩნეთთან და ჩეჩნებთან მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ რუსეთის იარაღს წარმოადგენს საკუთარი ხალხის დასამორჩილებლად ან მოსასპობად. ეტყობა, თავად მთლად ასე არ ფიქრობს ზავგაევი, რომელმაც მოსკოვში, ჩეჩნურ დიასპორასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სენსაციური განცხადება გააკეთა. კერძოდ, მან თქვა, რომ შეასრულა ჩეჩენი ხალხისადმი მიცემული პირობა და შეაჩერა ომი ჩეჩნეთში. ზავგაევის თქმით, ბოლო 8 დღის განმავლობაში, არმცთუ ყუმბარა, ტყვიაც კი არ გავარდნილა ჩეჩნეთში. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ განცხადების გაკეთების დროს მიმდინარეობდა შატოის დაბომბვა, რომელმაც მშვიდობიან მოსახლეობაში დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია.

კომუნისტებისთვის ურცხვობა უცხო ხილი არ გახლავთ, მაგრამ ზავგაევის ცინიზმში არეული უნამუსობა უდავოდ გამორჩეულია. თუკი დოკუ გაპურის ძმ ასე გააგრძელა, საფიქრებელია, ამაებში გამობრძმედილი მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მმართველის დონემდეც ამაღლდეს.

ჩეჩნეთში კი, მიუხედავად ზავგაევის განცხადებებისა, ბრძოლა გრძელდება. ვერც რუსეთის მრავალგზისმა "სამშვიდობო" ინიციატივებმა გამოიღო შედეგი. შეტაკებები ძირითადად ქვეყნის სამხრეთში მიმდინარეობს, თუმცა დაძაბული ვითარებაა სოფელ ბამუტთანაც, სადაც ჩეჩნებმა წარმატებული ოპერაცია განახორციელეს და დამატებითი პრობლემები შეუქმნეს რუსებს ჩეჩნეთის ცენტრალურ ნაწილშიც. პარალელურად, ჩეჩნეთის შეიარაღებული ფორმირებები დივერსიებს აწყობენ მტრის ზურგში, თავს ესხმიან "ფედერალთა" ბლოკ-პოსტებს.

ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ელცინის გაპრეზიდენტების აღსანიშნავი რუსების შტურმი წარუმატებელი აღმოჩნდა. მრავალრიცხოვანი მსხვერპლის ფასად, ელცინის ჯარისკაცებმა მხოლოდ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტის დაკავება შეძლეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ წარუმატებლობას უკავშირდება რუსეთის ჯარების სარდალ ტიხომიროვის გადაყენებაც.

მიუხედავად მარცხისა, რუსები აგრძელებენ შეტევას და ცდილობენ დაიმორჩილონ მთიანი ჩეჩნეთი, სადაც აქამდე რუსის ჯარისკაცის ფეხი არ დადგმულა. ამ მიზნისთვის არანაირ მსხვერპლს და ზარალს არ ერიდებიან. ამგვარი სიჩქარე შეიძლება იმით აიხსნას, რომ გენერლებს ინაუგურაციისთვის საჩუქრად ჩეჩნეთის დამორჩილების შესახებ პატაკი სურთ მიართვან პრეზიდენტს. დღესდღეობით კი, სანატორიუმში დავანებული ელცინი სხვაგვარ საჩუქრებს იღებს - "ტვირთი 200 -ს", ანუ დაღუპულ რუს ჯარისკაცთა გვამებს.

*ნუგზარ წიკლაური*

## დღეს შიმშილობის 27-ე დღეა! 4 აგვისტოს ნუგზარ მოლოდინაშვილის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა

გაჩნდა საგანგაშო სიმპტომები - გულის არითმიული ცემა, სპაზმები, ძლიერი თავბრუსხვევა. ამასთან, იგი აცხადებს, რომ წინააღმდეგობას გაუწევს ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის მცდელობას.

თუმცა, რამდენადაც გვახსოვს, იმხანად პრესკონფერენციის მოსაწყობად შიმშილობა არავის დასჭირვებია. მაშ რა ხდება დღეს, სისხლით მოპოვებული "დემოკრატიის" პირობებში?

5 ივლისის სასამართლო სხდომაზე

## ხელისუფლება პასუხს აგებს

აღსანიშნავია, რომ მთელი წინა პერიოდის განმავლობაში მოშიმშილე ნორმალურად გრძნობდა თავს, რაც იშვიათია ასეთი ხანგრძლივობის შიმშილობის დროს, მაგრამ დამშვიდების საფუძველს ეს არ უნდა იძლეოდეს. მოსალოდნელი იყო და აღინიშნება კიდეც მდგომარეობის მკვეთრი გამწვავება, რაზეც მიუთითებდნენ ექიმი-სპეციალისტები. რამდენად აქვს ეს გააზრებული არსებულ ხელისუფლებას, რომელიც თავს დემოკრატიულად თვლის, ძნელი სათქმელია.

ნუგზარ მოლოდინაშვილის მოთხოვნა - შეახვედრონ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს - სავსებით კანონიერია. ამის უფლება გარანტირებულია საერთაშორისო ნორმებით, იმ საერთაშორისო დოკუმენტებით, რომლებსაც ხელი მოაწერა საქართველომ და ვალდებულებად იღო ამჟამინდელმა ხელისუფლებამ.

ამასთან, საზოგადოებას არ შეიძლება არ ახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ 1991 წელს, როდესაც საქართველო არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და, შესაბამისად, არც ეკისრებოდა საერთაშორსო ვალდებულებები, საპატიმროში გაიმართა სსრკ-ს არსებობის ისტორიაში პირველი პრესკონფერენცია გიორგი ჭანტურიასთან. არც ისაა დავიწყებული, რომ საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას, რომლის წარმომადგენელიცაა ნუგზარ მოლოდინაშვილი, ბრალად სდებდნენ დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფას. ის კი არა და იმ პერიოდს "პროვინციული ფაშიზმის" ხანაც კი უწოდეს, ჯამბულ ბოკუჩავამ გააკეთა განცხადება: თუ არ დაკმაყოფილდება ნუგზარ მოლოდინაშვილის მოთხოვნა, მაშინ სამივე განსასჯელი ორი დღის შემდეგ უერთდება შიმშილობის აქციას. მოსამართლემ კვლავ რეაგირების გარეშე დატოვა ეს განცხადება.

ფორმალურად ამ საკითხის გადაწყვეტა ეხება მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ იცავს სასამართლო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. განსასჯელის მიერ რაიმე ინფორმაციის გაცემა არც ერთი კანონის თანახმად არ ითვლება სასამართლოს საქმეში ჩარევად. პირიქით, ობიექტური სასამართლო თავად უნდა ზრუნავდეს ინფორმაციის მოპოვებაზე. ა. ალადაშვილი რომ მართლაც მოსამართლე იყოს, მისთვის საგანგაშოდ გაიჟღერებდა პროკურატურის მესვეურთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მოლოდინაშვილს შეუძლია გასცეს სახე[...] მწიფოსთვის საზიანო ინფორმაცია, და დაფიქრდებოდა - სწორედ ეს ხო[...] არ არის მოლოდინაშვილის დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის რეალური მიზეზი.

მაგრამ ყველამ კარგად უწყის, რომ საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და მოსამართლე მხოლოდ ხელისუფლების მაღალი ეშელონების ნების უტყვი აღმსრულებელია. მიუხედავად ამისა, ის და ყველა, ვინც გაურბის ამ საკითხის გადაწყვეტას და, კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფით, სასიკვდილო საფრთხის წინაშე აყენებს უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს, პასუხს აგებს ქვეყნის მმართველ უმაღლეს პირთან ერთად.

## მოსკოვში აფეთქებების გრგვინვა ისმის

**მოსკოვი, კრემლი**

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ.ნ. ელცინს**

**უშიშროების საბჭოს მდივანს, პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების დარგში ა. ი. ლებედს**

**ბატონო პრეზიდენტო!**

**ბატონო უშიშროების საბჭოს მდივანო!**

არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების მეორე დღესვე თქვენ განაახლეთ სისხლიანი ომი ჩეჩნეთში. ის ომი, რომლის შეწყვეტის დაპირებებით გაინაღდეთ საერთო გამარჯვება არჩევნებში.

პირადად მე თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ცრუ დაპირებები იყო, მაგრამ ქვეყანამ დაგიჯერათ.

თქვენ ორივემ უხეშად მოატყუეთ ორმოცი მილიონი ამომრჩეველი, რომლებმაც თავიანთი ხმები მოგცეს. თუმცა, არა მგონია, ეს გარემოება გაღელვებდეთ.

თქენის წყალობით, ჩვენმა თანამოქალაქეებმა დიდი ხნით დაკარგეს რწმენა დემოკრატიული პროცედურის მიმართ. ალბათ, ვერც ეს დაგირღვევთ მშვიდ ძილს.

მაგრამ მინდა თქვენს შეგნებამდე მოვიტანო ის მარტივი ამბავი, რომ როდესაც ხალხს დემოკრატიისადმი რწმენას ართმევთ, იმავდროულად არალეგიტიმურს ხდით თქვენსავე თანამდებობებსა და უფლებამოსილებებს. და თუ ჰორიზონტზე კვლავ გამოიკვეთება ომის აჩრდილი - საკუთარი თავის გარდა, ვერავის დაადანაშაულებთ.

ბატონო პრეზიდენტო, გასულ არჩევნებში მოსკოვმა მასიურად დაუჭირა მხარი თქვენს კანდიდატურას. ამავე დროს და უფრო მეტი ენთუზიაზმითაც, მოსკოველებმა თავიანთ მერად ხელახლა აირჩიეს ი. მ. ლუჟკოვი. დღეს მოსკოვში საშინელი, უაზრო ბოროტმოქმედებები ხორციელდება. აფეთქებების გრგვინვა ისმის. არ ვიცი, ვინ დგას 11 და 12 ივლისის სასტიკი და მხდალი ტერაქტების უკან, მაგრამ მერის მიერ გამოთქმულ ვერსიაში, რომ თითქოს ამას ჩეჩენი ბოევიკები სჩადიან, დიდად მეპარება ეჭვი. ასეც რომ იყოს, ბატონი ლუჟკოვის, და თქვენი, ბატონო პრეზიდენტო, აშკარად რასისტული მოთხოვნები და ქალაქის "წმენდისკენ" მოწოდება, ტერორისტთა ბომბებზე ნაკლებეფექტურად როდი უთხრის ძირს ქვეყნის უშიშროებასა და სტაბილურობას.

თქვენს მიერ მიღებული "საგანგებო" ზომები გამოიწვევს ძვრებს - რუსეთისთვის დამანგრეველს.

გთხოვთ, დაფიქრდეთ ამაზე, სანამ გვიან არ არის!

სახელმწიფო დუმის დეპუტატი სერგეი კოვალიოვი

5. 07.96

**საინფორმაციო საშუალებათა საყურადღებოდ:**

***ეს ტექსტი უნდა დაბეჭდილიყო გაზეთის "ითგუსტიჯ" ა. წ. 17 ივლისის ნომერში, მაგრამ ეს არ მოხდა. არ ჩავეძიები მიზეზებს, რომელთა გამოც გაზეთმა უარი თქვა პუბლიკაციაზე***

***ვთავაზობ ტექსტს იმ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც საინტერესოდ მიიჩნევენ მას.***

*სერგეი კოვალიოვი*

## ხვიჩა ჯოხაძის მდგომარეობა კრიტიკულია

მწვავე ტუბერკულოზით დაავადებული 27 წლის პოლიტპატიმარი ხვიჩა ჯოხაძე გადმოყვანილი იქნა ქსნის კოლონიიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა და თავად საპატიმროების სამმართველოს მესვეურებმა აღიარეს, რომ მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება.

სპეციალისტების აზრით, საოპერაციო ჩარევა, რომელიც დროული იქნებოდა ცოტა ხნით ადრე, ამჟამად სახიფათოა, ვინაიდან ავადმყოფმა, შესაძლოა, ვერც გადაიტანოს ოპერაცია. მცირე იმედს იძლევა ინტენსიური მედიკამენტოზური მკურნალობის ჩატარება, შესაბამისი კარგი კვებისა და რეჟიმის პირობებში. ნათელია, რომ დღეს საქართველოში, დიდი თანხების გარეშე, არათუ ციხის საავადმყოფოში, არამედ გარეთაც საკმაოდ პრობლემატურია ამგვარი სამედიცინო მომსახურეობის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების, IGFM-ის ინდივიდუალური წევრები საქართველოში - ლალი ლომაძე, ლია ბერუაშვილი, მაია კერესელიძე, აგრეთვე საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია აუცილებლად თვლიან ხვიჩა ჯოხაძის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას (სს საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად), ხოლო მანამდე მისთვის ინტენსიური მკურნალობის უზრუნველყოფას კვალიფიციური ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "მრგვალი მაგიდა" აჭარის არჩევნებისთვის ემზადება

მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში, 30 ივლისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება "მრგვალი მაგიდის". ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს გააცნეს განცხადება აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში "მრგვალი მაგიდის" მონაწილეობის ბლოკირების შესახებ. ამ ცნობილი პოლიტიკური გაერთიანების ამჟამინდელი მესვეურები, რომლებიც, არსებული ხელისუფლების უკანონობის მოტივით, მის მიერ დანიშნულ ყველა არჩევნებს უცხადებენ ბოიკოტს, მიიჩნევენ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კანონიერ სტრუქტურას წარმოადგენს და მის მიერ 1996 წლის 22 სექტემბრისთვის დანიშნული არჩევნებიც, შესაბამისად, კანონიერია. აქედან გამომდინარე, მათ გამოთქვეს სურვილი, მიიღონ მონაწილეობა ამ არჩევნებში, მაგრამ იმთავითვე შიშობდნენ, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება ამას არ დაუშვებდა. და აი, პროგნოზი გამართლდა: ხელისუფლებამ მიიღო ზომები, რათა წინ აღდგომოდა "მრგვალი მაგიდის" მონაწილეობას აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რაც, მათი თქმით, მიზნად ისახავს, მოწყვიტოს "მრგვალი მაგიდა" ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგს და საზოგადოების თვალში წარმოაჩინოს როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. განცხადებაში მითითებულია, რომ ადგილი აქვს "მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციათა პარალელური სტრუქტურების შექმნასა და იარაღით მუქარას, თუ ვისი მხრიდან - მითითებული არ არის.

აქვე ჟურნალისტებს ეცნობა, რომ არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, არჩევნებში მონაწილე ორგანიზაცია რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ და შემდგომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; რომ "მრგვალი მაგიდა" ეყრდნობა 1991 წლის რეგისტრაციის ფაქტს და ამის საფუძველზე უკვე ერთი თვის მანძილზე ამაოდ ითხოვს იუსტიციის სამინისტროსგან შესაბამის დოკუმენტაციას. თუმცა, "ჭყონდიდელის" წარმომადგენელს, ჯემალ გამახარიას თავისი თვალით უნახავს რეგისტრაციის წიგნში ამის დამადასტურებელი ჩანაწერი. თენგიზ კიკაჩეიშვილმა გამოთქვა შენიშვნა, რომ აჭარის უზენაეს საბჭოს, თუ ამის სურვილი ექნება, შეუძლია განაცხადოს პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება მათ ბლოკირებას ახდენს.

მაშასადამე, 1991 წელს კანონიერად რეგისტრირებული "მრგვალი მაგიდა" ითხოვს კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი უკანონო ხელისუფლებისგან კანონიერი ხელისუფლების დროს გავლილი რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთებს, რათა მონაწილეობა მიიღოს აჭარის უზენაესი საბჭოს კანონიერი სტრუქტურის არჩევნებში, რომლის მიერ მიღებული საარჩევნო კანონის თანახმად, იგი იძულებულია უკანონო ხელისუფლების იუსტიციის სამინისტროში გაიაროს, შესაბამისად, უკანონო რეგისტრაცია, რაც ცხადია, მისთვის დაუშვებელია და ამიტომ ითხოვს იმავე უკანონო სამინისტროსგან თავისი კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ხოლო უკანონო იუსტიციის სამინისტრო მათ რატომღაც არ იძლევა.

საგულისხმო იყო გაზეთ "აღდგომის" კორესპონდენტის კითხვა: ჩაითვლება თუ არა კანონიერად აჭარის უზენაესი საბჭო მას შემდეგ, რაც მის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციები იმის გამო, რომ უკანონო იუსტიციის სამინისტრო მათ არ მისცემს კანონიერი რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. პასუხად—ვახტანგ ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ, ცხადია, ასეთ შემთხვევაში არჩევნები კანონდარღვევით ჩატარებულად ჩაითვლება, მაგრამ სტრუქტურები მაინც კანონიერი იქნება. ხოლო ჯემალ გამახარიას თქმით, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აჭარის ხელისუფლებას, მის უზენაეს საბჭოსა და მის მიერ დანიშნულ არჩევნებს კანონიერად ცნობს, თუმცა არ დაუზუსტებია, მიიღო თუ არა ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა რაიმე გადაწყვეტილება. ჯ. გამახარია თვლის, რომ ყველამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა აჭარის უზენაესი საბჭო, როგორც კანონიერების ოაზისი, ბოლომდე კანონიერი დარჩეს.

დევნილი უზენაესი საბჭოს წევრმა, ვახტანგ ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებს გააცნო განცხადება მოსალოდნელ მასობრივ რეპრესიებთან დაკავშირებით, ხოლო თენგიზ კიკაჩეიშვილმა "მრგვალი მაგიდის" სახელით მხარი დაუჭირა მერაბ კოსტავას ეზოში მიმდინარე აქციისა და უზენაესი საბჭოს წევრის, ნუგზარ მოლოდინაშვილის მოთხოვნათა ჩათვლით".

გაზეთ "თავისუფალ საქართველოს" ბუნებრივად უჩნდება კითხვა: რის საფუძველზე ელის ბ-ნი თენგიზ კიკაჩეიშვილი რაიმე რეაგირებას "მრგვალი მაგიდის" ბლოკირებასთან დაკავშირებით აჭარის უზენაესი საბჭოსგან, რომელსაც დღემდე არ მიუცია სამართლებრივი შეფასება არც დეკემბერ-იანვრის გადატრიალებისთვის, არც სამხედრო ხუნტისა და მის ნიადაგზე აღმოცენებული ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკისთვის. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება კი სტრუქტურა, რომელიც ორგანულად ერწყმის და ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც აღიარებს საქართველოში გავრცელებულ უკანონო რეჟიმს, ჩაითვალოს კანონიერად მხოლოდ იმიტომ, რომ კანონიერი ხელისუფლების დროსაა არჩეული?!

*ირაკლი დგებუაძე*

# ვრცელი ეპიტაფია

კომუნისტური რეჟიმის მიწურულს ვერც გენერალური მდივნების პერმანენტულმა ცვლამ და ვერც საბჭოთა კავშირის მოდერნიზების არაერთმა მცდელობამ, ვერ შეიტანა სასიცოცხლო კორექტივი მისი ფაქტობრივი არსებობის დასადასტურებლად. რეჟიმი დაინგრა, გაიხრწნა, დაკნინდა, მაგრამ იგი დღემდე განაგრძობს "არსებობას". განაგრძობს არსებობას ძალადობით, სისხლის ღვრით, უკეთურობით და კვლავ პირვანდელი ოფილი გავრცელების არეალს მოიცავს.

აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მთავრობები შენიღბულად, თუმცა ზედმიწევნით აგრძელებენ წინაპართა გზას. ცხადზე ცხადია, რომ რეჟიმი არ გაუქმებულა, მაგრამ იგი მოკვდა და მას მომავლის შექმნა აღარ შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური რეჟიმის არსებობა დროში ხანგრძლივად გაიწელა, იგი თავისი არსით ყოველთვის მკვდარი რეჟიმი იყო. მარქსიზმის თეორეტიკოსები თუ პრაქტიკოსები საგანგებოდ დებდნენ სიკვდილის ელემენტს იმ იდეოლოგიაში, რომელსაც ქმნიდნენ, რაც ითვალისწინებდა სიკეთეზე ბოროტების, სიცოცხლეზე სიკვდილის გამარჯვებას და სათავეშივე უპირისპირდებოდა ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ იდეას - სიკვდილის დამარცხების იდეას.

მკვდარი რეჟიმის მკვდარმა იდეოლოგიამ, პოზიციების გასამაგრებლად, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ძალზე ბევრი სიკვდილი მოიტანა. ეს იყო მისი ქმედითუნარიანობის გამოხატვის და ფუნქციონირების დადასტურება და თვითდამკვიდრების ცდა, რაც კომუნისტების სრული კრახით დამთავრდა და ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა კავშირი ფიქციად იქცა, ხოლო მავზოლეუმში დასვენებული ლენინი მის სიმბოლოდ და მეტაფორად - ცხედარი, რომელსაც ვერ მარხავენ და ამიტომ საგანგებოდ ალამაზებენ. იგი თანდათან ილევა და ქრება, მაგრამ ეს პროცესი დროში მტკივნეულად გაწელილია.

საბჭოთა კავშირიც, ლენინის ცხედარზე მანიპულირების მსგავსად, მრავალჯერ იქნა მოდერნიზებული. მისი უკანასკნელი, თითქოსდა კომპრომისული სახე ერთი შეხედვით ვითომ განსხვავდება ტოტალიტალური და მონოლითური სტალინური ვარიანტისგან, მაგრამ ეს განსხვავება გამოწვეულია არა იმით, რომ რეჟიმი შეიცვალა, არამედ იმით, რომ მისი მმართველი აპარატის ახლანდელი შემადგენლობა წარსულის უშწეო ანარეკლია და მათი მეშვეობით დასავლეთიც უფრო მარტივად მანიპულირებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირი ახლა დასავლეთის კომერციული საკუთრებაა გრანდიოზულ სუპერმარკეტად ქცეული, სადაც ყველაფერი იყიდება: სოციალური სტატუსი, პოლიტიკური კარიერა, საარჩევნო ხმა, დასავლეთის მიერ გადაყრილი სურსათის სამოცწლიანი მარაგის ჩათვლით და მისი ფაქტობრივი არსებობაც დასავლეთის კომერციულ ინტერესებზეა დამოკიდებული.

მოსკოვი გრანდიოზული ფინანსური მაქინაციების ცენტრად იქცა, ხოლო სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკები, როგორც ყოველთვის, მის მკვებავ არტერიად დარჩა. ამიტომ საჭიროა, ეს რესპუბლიკები მართონ ცენტრის მიერ გამოგზავნილმა ემისრებმა, რომლებიც პოლიტიკური კომპრომისების სანაცვლოდ მიიღებენ კლანურ ავტოკეფალიას, ანუ დიდ ფინანსურ მაქინაციებზე კონტროლის უფლებას. ეს არის ცენტრთან გარიგების მთავარი პირობა.

საქართველოს მოსახლეობა აპათიაშია და არსებობს ამის ბუნებრივი საფუძველი. ერთი შეხედვით, მას აღარ აინტერესებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, არც შევარდნაძის რეჟიმის დანაშაულებრივი პოლიტიკა იძენს აქტუალურ ჟღერადობას. ეს მძაფრი განცდები ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა და შეგუების კოეფიციენტიც თანდათან გაიზარდა. თუ კარგად დავაკვირდებით, ამგვარი უმოქმედობის მთავარ მიზეზსაც ადვილად ვიპოვით. უმოქმედობა და გულგრილობა ერში მაშინ წარმოიშვება, როცა მისი ბრძოლის ობიექტი კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. თანამედროვეობას კი კვლავ მკვდარი რეჟიმის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა. 70 წელიწადია დედამიწის ერთ მეექვსედში არაფერი იცვლება რეპრესიათა ტალღების გარდა. მკვდარი იმპერიის ასეთივე მკვდარ სიმბოლოს დღეს შევარდნაძის რეჟიმი განასახიერებს, რომელმაც საკუთარ თავს დასაწყისშივე გამოუტანა ყველაზე სასტიკი განაჩენი. მას დიდი ხნის არსებობა აღარ უწერია. ხვალ თუ ზეგ იგი ისტორიის კუთვნილებად იქცევა, რომელიც თავისი უკვდავი სამართლით მიუჩენს მას შესაფერის ადგილს.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

# ვინ არიან ჩვენი "მეგობრები" და როგორ დახმარებას გვიწევენ

## ქველმოქმედება ჰ. ფორდის მიხედვით და მწარე რეალობა

საქართველოში წლების მანძილზე ხორციელდება მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა. ფაქტობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობა ჯერ სრულად გაალატაკა, შემდეგ კი გამოუცხადა - საქართველოს მრავალი "მეგობარი" ქვეყანა ჰყავს და ისინი დაგვეხმარებიან გაჭირვებაშიო. "მეგობარ ქვეყანათა" ჰუმანიტარული დახმარების იმედად დატოვა სახელმწიფო.

გავიდა დრო. სინამდვილეში, არც ერთ ადამიანს, ვისაც მართლა ესაჭიროებოდა შველა, რეალურად არ უგრძვნია ამ ე.წ. ჰუმანიტარული დახმარების სიკეთე. თუ ვინმეს უფასო პროდუქტი შეხვდა, მრავალი ხელოვნურად შექმნილი ბარიერის გადალახვის გზით. ხოლო როცა დახმარება ფასიანი იყო, შეღავათი თითქმის არ იგრძნობოდა. დიდი აყიოტაჟის შემდეგ, თანდათანობით ნათლად გამოიკვეთა "მეგობარ ქვეყანათა" და მათი ჰუმანიტარული ორგანიზაციების ნამდვილი სახე. არავისთვის დასამალი არ არის, რომ მთელი ეს დახმარება შავ ბაზარზე აღმოჩნდა, ცხადია, ადგილობრივი ბიუროკრატების ხელშეწყობით.

ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენები გააბრუეს მათთვის სრულიად უცხო და გაუგებარი ტერმინებით: გრანტები, პროგრამები, მიზნობრივი კრედიტები და სხვა. ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეს სულაც არ ესაჭიროება ყოველივე ამის ცოდნა. მას მხოლოდ ელემენტარული ადამიანური პირობები სჭირდება ყოფის მოწყობისა და ნორმალური ცხოვრებისთვის. ცხადია, ჰუმანიტარული დახმარების იმედად დარჩენილი სახელმწიფო თავის მოქალაქეებისთვის ცხოვრების ამგვარ პირობებს ვერ უზრუნველყოფს.

მაგრამ ზოგადად საინტერესოა, რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს ე.წ. ჰუმანიტარული დახმარება და იდეაში მაინც მოსალოდნელია თუ არა მისგან რეალური დახმარება გაჭირვებაში ჩავარდნილი რომელიმე ქვეყნისთვის. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა ჰენრი ფორდის წიგნი "ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები", რომელიც ჩვენი საუკუნის 20-იან წლებშია დაწერილი ერთ-ერთ თავში, სათაურით "რისთვისაა საჭირო ქველმოქმედება", იგი წერს: "რატომ არის აუცილებელი საზოგადოებაში მოწყალების გაცემა? მე არაფერი მაქვს ქველმოქმედების საწინააღმდეგო. ღმერთმა დაგვიფაროს, გულგრილნი გავხდეთ მოყვასის გაჭირვების მიმართ. ბუნებრივი ადამიანური თანაგრძნობა იმდენად მშვენიერი გრძნობაა, არც უნდა მოვინდომოთ, იგი ცივი, ანგარებიანი განსჯით შევცვალოთ... ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ამ მაღალ, კეთილშობილურ გრძნობას, წამქეზებელს ზოგადად ადამიანური სიკეთისა, მეტისმეტად წვრილმანი მიზნებისთვის ვიყენებთ. თუ თანაგრძნობა გვაიძულებს დავაპუროთ მშიერი, მაშ რატომღა არ წარმოშობს იგი ჩვენში სურვილს, შიმშილი საერთოდ შეუძლებლად ვაქციოთ?... ბევრი ადამიანი ამჯობინებს, დაეხმაროს ღარიბ ოჯახს, ვიდრე სერიოზულად ჩაუფიქრდეს სიღარიბის აღმოფხვრის პრობლემას".

ჰ. ფორდი სრულიად კატეგორიულად აცხადებს: "მე წინააღმდეგი ვარ პროფესიული ქველმოქმედებისა და საქმიანი ჰუმანურობის. რა კეთილისმყოფელიც არ უნდა ჩანდეს ამგვარი მოვლენა, იგი შედეგიანი ვერასდროს გახდება, რადგან როგორც კი ადამიანური მზადყოფნა მოყვასის დახმარებისთვის სისტემატიზირდება, აეწყობა და პროფესიული გახდება - მისი გული კვდება, იგი ცივ, უნაყოფო საქმედ იქცევა... პროფესიული ქველმოქმედება, არამარტო უგრძნობელია, არამედ მას უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე დახმარება. იგი დამამცირებლად მოქმედებს მიმღებზე და კლავს მასში საკუთარი თავის პატივისცემას. პროფესიული ქველმოქმედება მჭიდრო კავშირშია სენტიმენტალურ იდეალიზმთან".

"სულ რამდენიმე წლის წინ უეცრად გავრცელდა აზრი," - აღნიშნავს ჰ. ფორდი, რომ "დახმარება არის რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ სამართლიანად მოველით სხვებისგან." უამრავმა ხალხმა დაიწყო კეთილმოსურნე საზოგადოებრივი დახმარების მიღება. მოსახლეობის მთელი ფენები უმწეობის მდგომარეობაში აღმოჩნდა, სხვებისთვის რაღაცის გაკეთება პროფესიად იქცა. ამან ხალხში წარმოშვა ყველაფერი, გარდა საკუთარი თავის რწმენისა და სულაც არ აღმოფხვრა ის გარემოებები, რომელთაგანაც დახმარების მოჩვენებითი საჭიროება გამომდინარეობდა.

"ქველმოქმედებას ჯერ არ გადაუწყვეტია ამოცანები მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ვადით. ქველმოქმედება ზედმეტი გახდება, თუ იმ ადამიანებს, რომელთაც საკუთარი თავის შენახვის უნარი არ გააჩნიათ, გამოიყვანენ "არამწარმოებელთა" კლასიდან და ჩააბამენ "მწარმოებელთა კლასში".

"ჩვენს ფაბრიკებში ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ კარგად ორგანიზებულ მრეწველობაში ყოველთვის მოიძებნება ადგილი ხეიბრებისთვის, კოჭლებისა და უსინათლოებისთვის... სამუშაო, რომელიც შეიძლება შესრულდეს უსინათლოთა მიერ დიფერენცირებულ წარმოებაში, უფრო მეტია, ვიდრე უსინათლო არსებობს საერთოდ. ზუსტად ასევე, უფრო მეტი ადგილებია ხეიბრებისთვის, ვიდრე ქვეყნად ხეიბრებია. ადამიანი, რომელიც მიჩნეულია ქველმოქმედების ობიექტად, ყველა იმ ადგილზე გამოიმუშავებს ზუსტად ისეთივე კარგ გასამრჯელოს, როგორც უნიჭიერესი და უძლიერესი მუშა. მფლანგველობაა ჯანსაღი ადამიანის დაყენება ისეთ სამუშაოზე, რომელსაც ხეიბარი არანაკლები წარმატებით გაართმევს თავს. ინვალიდს, რომელსაც აქვს მუშაობის უნარი, ხოლო ჩვენ კი მას ვითომ ვეხმარებით, სინამდვილეში ვაქცევთ მათხოვრად. ამით ჩვენ მორალურად ვამცირებთ პიროვნებას."

თავისთავად ცხადია, რომ ჰენრი ფორდის მიერ თავის დროზე გამოთქმული აზრები ცნობილი და პრაქტიკაშიც გამოყენებულია, სადაც ეს მიზანშეწონილად ჩათვალეს დიდი ბიზნესის მესვეურებმა. ზემოთქმული ხომ დღეს ანბანური ჭეშმარიტებაა, განსაკუთრებით ამერიკელებისთვის.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს პრობლემებს და იმ ინვალიდის მაგიერ, რომელსაც ჰ. ფორდი ხშირად ახსენებს, ჩვენი დაავადებული ქვეყანა წარმოვიდგინოთ. წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე, ის ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში დაგროვილი ეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმარების შემოგზავნით შეამსუბუქონ, ან დათვურ სამსახურს გვიწევენ, ან უფრო უარესი - გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად ჩვენი სრული დეგრადირების საქმეს ემსახურებიან. დღევანდელი ხელისუფლების მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შენარჩუნებულ და გახანგრძლივებულ იქნეს უცხო ქვეყნების დახმარება. ამ შემთხვევაში მათ საკუთარი პრაგმატული ინტერესები ამოძრავებთ, რამეთუ დაბეჩავებული, საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებული, რწმენაშერყეული ადამიანი ადვილი სამართავია. საბოლოო შედეგი კი, ჩვენი ქვეყნის სავალალო მაგალითზე, შემზარავია: ადამიანებს წაართვეს ბუნებრივი სიხარული, რომელიც მიიღება შრომისგან, პროფესიული მიღწევებისგან; უმრავლესობამ დაკარგა სოციალური სტატუსი; მიმდინარეობს სპეციალისტების დეკვალიფიკაცია და მასობრივი მიგრაცია; იზრდება უმუშევართა არმია, რასაც ბუნებრივად მოჰყვება საყოველთაო-საზოგადოებრივი ნიჰილიზმი.

საგანგებოდ ხაზგასასმელია, რომ ეს პრობლემები მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის არაა დამახასიათებელი. როგორც დავინახეთ, ეს ზოგადი პრობლემაა. სულ მოკლე დროში ცალკე სახელმწიფოებად დაიშალა სსრკ, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია. ყველა ამ ქვეყანაში შეიქმნა ჰუმანიტარული დახმარების საგანგებო სამსახურები, ჩინოვნიკთა, ბიუროკრატთა, სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკთა მთელი არმია. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა თანხებთან გვაქვს საქმე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თავისთავად ცხადია, რომ ეს პროცესები ერთი ცენტრიდან იმართება და მსოფლიოში "ახალი წესრიგის" დამყარების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. არც ერთ ვითომ ჩვენს მეგობარ ქვეყანას რეალურად ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს იქითკენ, რომ ჩვენი უბედურებისა და გაჭირვების ნამდვილი მიზეზები აღმოეჩინა. ამერიკელებმა მშვენივრად იციან, რომ თუ ნამდვილი დახმარება გინდა, თევზი კი არა, ანკესი უნდა მისცე მეგობარს. ჩვენ უკვე დიდი ხანია ველოდებით ანკესებს, მაგრამ ამაოდ (თუ არ ჩავთვლით ფირმა კოკა-კოლას!!!).

გასულმა წლებმა უკვე აშკარად დაგვანახვა, რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილი მეგობრები არა ჰყავს (მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, კომუნისტური "ხალხთა მეგობრობის" ნოსტალგიით თუ წაბაძვით, განუწყვეტლივ ისმის საუბარი ამ მითიური მეგობრობის შესახებ). შესაძლებელია კი საერთოდ, რომ ქვეყანას ჰყავდეს მეგობრები? რეალურად ყველა ქვეყანას თავისი ინტერესები აქვს და ამიტომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასურველი იქნება, რომ ჩვენი საზოგადოება დროულად განთავისუფლდეს თავსმოხვეული ილუზიებისგან "მამა მარჩენალის" და მისი მეგობრების ყოვლისშემძლეობის შესახებ; მოჩვენებითი, უმნიშვნელო, უამრავი საეჭვო ფასეულობის მიღმა თავისი ნამდვილი ინტერესები გამოარჩიოს.

*გიორგი დავითაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

### ვინ წააგო ომი აფხაზეთში

რაკი შევეხეთ აფხაზეთის ომის პერიპეტიებს, არ შემიძლია არ მოვიხმო ზოგიერთი საგაზეთო პუბლიკაცია, რომელიც თავისი სერიოზულობით დოკუმენტის სახეს იძენს.

"ომის არჩევანი - სად არის აფხაზეთი?" (გაზეთი "7 დღე", № 10, 18-24 მარტი, 1995 წელი, მაია გოგოლაძისა და ლია ტოკლიკიშვილის სტატია).

**"რუსეთის გენერალური შტაბიდან მოპოვებული საიდუმლო ინფორმაცია:**

"შეტევა სოხუმზე 1993 წლის 5 მარტს უნდა განხორციელებულიყო (ეს შეტევა 15 მარტს განხორციელდა - რედ.). გვიან ღამით მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. თავდაცვის მინისტრ გრაჩოვისთვის ცნობილი გახდა, რომ გახმაურდა მისი მითითებით გენერალ ლეშჩუკის მიერ აფხაზთა მხარის სამხედრო ოპერაციების უშუალო ხელმძღვანელობის ფაქტი. გრაჩოვმა, ჩათვალა რა ეს სოხუმის დაგეგმილ ოპერაციაში რუსეთის არმიის ძალების მონაწილეობის მამხილებელ ფაქტად, გასცა განკარგულება და ჩაშალა შეტევა. სასწრაფოდ გამოიყენეთ ეს შემობრუნება. სასწრაფოდ ესაუბრეთ გრაჩოვს მაღალ დონეზე."

აქ გაურკვეველია ვინ არის ადრესატი, მაგრამ არის მინიშნება იმაზე, რაზეც არაერთხელ მიუთითებდა სახელმწიფოს მეთაურს საპარლამენტო და არამარტო საპარლამენტო ოპოზიცია: რომ სრულიად ნათლად უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული აგრესორი მხარე აფხაზეთში. ამას აუცილებლად ექნებოდა პოლიტიკური და სამხედრო შედეგები.

ამავე სტატიიდან ირაკლი ბათიაშვილის სიტყვები:

**"პირადად ვაწვდიდი სასიგნალო ინფორმაციებს სახელმწიფოს მეთაურს. აფხაზეთის უშიშროების უფროსი ავთანდილ იოსელიანიც უშუალოდ უკავშირდებოდა მას, მაგრამ ამას თითქმის არავითარი რეაქცია არ მოსდევდა, არავითარი ღონისძიება არ ტარდებოდა სახელმწიფო დონეზე..."**

1992 წლის 18 სექტემბერი. ტელეგრამა სოხუმიდან:

"გაგრის ზონაში მოწინააღმდეგე ემზადება შეტევისთვის. გაგრაში გადმოყვანილია 16 ტანკი. ინფორმაცია 2 ათასი ჩეჩენის შესახებ დასტურდება..."

1993 წლის მარტი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარის, კეშელავას ინფორმაცია:

"აფხაზთა მხარე აკონტროლებს იმ სიხშირეებს, რომლებზეც მუშაობს საქართველოს საჰაერო თავდაცვა. რუსეთის საჰაერო ნაწილები ადლერიდან გადმოდიან გუდაუთისკენ. გუდაუთაში გამოცხადებულია მობილიზაცია."

1993 წლის 15 აგვისტო:

(27 ივლისის ხელშეკრულების დადების შემდგომი, ე.ი. სამშვიდობო პერიოდი)

"11 აგვისტოს მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ გუდაუთის დაჯგუფების შეიარაღებული ფორმირებების მომარაგება სამხედრო აღჭურვილობით მთელი ინტენსივობით მიმდინარეობს.

5 აგვისტოს გუდაუთაში შემოვიდა სამხედრო ეშელონი 13 ვაგონის შემადგენლობით, დატვირთული სამხედრო მასალითა და ყველა სახის იარაღით:

ორი ვაგონი დატვირთულია 250 კგ-იანი საავიაციო ბომბებით; კამაზის ტიპის 25 მანქანით გადაიტანეს საბრძოლო მასალა დაბა პრიმორსკოეში; 6 მანქანით სამხედრო აეროდრომ "ბომბორაზე"; დანარჩენი - ახალ ათონში, საშუალო სკოლის შენობაში, სტადიონის მახლობლად. მიღებულია ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები: უახლესი ნიმუშის "მონ-200" ნაღმებით დატვირთული მთელი კამაზი დაცალეს სანატორიუმ "გეოლოგში", ერთი კამაზი - მენაღმეების მომზადების ცენტრში (გუდაუთაში) და ერთი კამაზი - ზემო ეშერაში.

**მე ვსვამ კითხვას, უნდა აგოს თუ არა პასუხი თავისი ნამოქმედარის ადამიანმა, რომელმაც მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარ თავზე აიღო? და თუ უნდა აგოს, მაშინ ამიხსენით, რატომ ვზივარ განსასჯელის სკამზე მარტო? სად არის ის კაცი?**

მდინარე გუმისთის ფრონტის ხაზთან ამჟამად დისლოცირებულია 4500-5000 მებრძოლი, ათი ტანკი, 30 ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა, 3 საარტილერიო ბატარეა, 6-6 ქვემეხით დაკომპლექტებული, 6 გრადის ტიპის დანადგარი.

მებრძოლები 9-10 აგვისტოდან გადაყვანილნი არიან ყაზარმულ მდგომარეობაზე. 11 აგვისტოდან არიან საბრძოლო მზადყოფნაში.

შეტევის განხორციელებას, ჩვენი მონაცემებით, აპირებენ 16 აგვისტოს. იმისთვის, რომ მებრძოლებმა არ დატოვონ არმია, ურიგებენ პასპორტებს ადგილობრივი ჩაწერით და ასახლებენ ქართველთა სახლებში.

გვაქვს ინფორმაცია, რომ სოხუმის შტურმის წინ აპირებენ ძლიერ საარტილერიო დარტყმას სოხუმზე."

აი, ეს არის დოკუმენტური მასალა. არ ვიცი, თუ ყოველივე ეს აძლევს რომელიმე მმართველს უფლებას, 1 სექტემბერს სწავლის დაწყება გამოაცხადოს საბრძოლო მოქმედებათა ზონაში, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

### კითხვებს სვამს სამხედრო პროკურატურა

სხვა დოკუმენტების კითხვით მე აღარ შეგაწუხებთ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ აქ ლაპარაკია სისხლის სამართლის საქმეზე № 2293877 - ესაა იმავე ავტორების სტატია "და ხვალ იყო ომი..." (გაზეთი "7 დღე", №10, 19-24 მარტი, 1994 წელი), მაგრამ სისხლის სამართლის საქმე სამხედრო პროკურატურაშია და იქ მოიძიეთ.

ეს საქმე აღძრულია აფხაზეთში დამარცხების, სამხედრო მოსამსახურეების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების გადამეტებისა და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, უმოქმედობის ფაქტებზე. საგამომძიებლო ჯგუფს ხელმძღვანელობდა იუსტიციის პოლკოვნიკი გივი ერქვანია, გამოძიებაზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა იუსტიციის გენერალი ალექსანდრე შუშანაშვილი. ეს მაშინდელი ცნობებია, ახლა რა ბედი ეწია ამ საქმეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთ-ერთ სხდომაზე აქ იყვნენ დასახელებული ეს პირები და დასმული იყო მოთხოვნა: იმის გამო, რომ სახელმწიფოს მოხელეები უაპელაციოდ გვდებენ ბრალს აფხაზეთში ომის სამარცხვინოდ დამთავრებასა და ჩვენი მიზეზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევაში, ეს ორი საქმე გაერთიანებულიყო და ერთობლიობაში გვემსჯელა ყველა ამ საკითხზე.

ამ სტატიაში მოყვანილია კითხვები, რომლებსაც სვამს სამხედრო პროკურატურა (კითხულობს - რედ.). ვთვლი, რომ მხოლოდ ამ კითხვებზე დეტალური და კომპეტენტური პასუხის შემდეგ გახდება შესაძლებელი დასახელდნენ აფხაზეთში სამარცხვინო დამარცხებაში დამნაშავე კონკრეტული პიროვნებები. მანამდე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივ აზრზე უხეშ ზემოქმედებად, განტევების ვაცების პოვნის მცდელობად უმაღლესი მთავარსარდლის მიერ საკუთარი უნიჭობის და უფრო უარესის - სამშობლოს ღალატის შენიღბვის მიზნით.

### შევარდნაძე მოატყუეს თუ...?

1992 წლის 3 სექტემბრისა და 1993 წლის 27 ივლისის გარიგებების შემდეგ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს გასაგონად გაიძახოდა, რომ ის უსინდისოდ მოატყუეს; რომ ის შეცდა... ამგვარი აღარ განმეორდებაო, დედა არ დაუფიცია, თორემ დანარჩენი ყველაფერი თქვა.

უნდა გავიხსენო 27 ივლისის ხელშეკრულების ხელმოწერის წინა პერიოდი. ჩემთვის გასაკვირად, არა მარტო საპარლამენტო ოპოზიცია, არამედ მთლიანად თვით მორჩილი პარლამენტიც კი დაბეჯითებით უმტკიცებდა მეთაურს, რომ ასეთ დოკუმენტზე ხელის მოწერა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მაშინ ის გამოვიდა პარლამენტის წინაშე სიტყვით და საჯაროდ თავის თავზე აიღო პირადი პასუხისმგებლობა: **"ენდეთ ჩემს ავტორიტეტს, მენდეთ მე, ენდეთ ჩემს პოლიტიკურ გამოცდილებას. მე ვარ მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებელი, მე ვაგებ პასუხს შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ ხელშეკრულებას."** პარლამენტი ენდო მას და მიანიჭა უფლება ხელმოწერილი ყოფილიყო ხსენებული ხელშეკრულება.

პირადად მე, მიუხედავად საკმაოდ ზუსტი ცოდნისა ამ პიროვნების შესაძლებლობების შესახებ და საქართველოში მიმდინარე მოვლენების საერთო კანონზომიერებიდან გამომდინარე, ვთვლიდი, რომ ეს იყო უკიდურესი ნაბიჯი რუსეთის მხრიდან საშინელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის ჯაჭვში. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნდა, შეიძლება გულუბრყვილოდაც.

ამ იძულებითი ნაბიჯის თავიდან ასაცილებლად ვთვლიდით, რომ საერთო აქციით უნდა დაფიქსირებულიყო ქართველი ხალხის ნება. ყოველ შემთხვევაში, მეგონა, რომ ეს მისცემდა შევარდნაძეს აპელირების საშუალებას მათ მიმართ, ვინც აიძულებდა ხელი მოეწერა ასეთ ხელშეკრულებაზე. მას შეეძლო ეთქვა, რომ თვითონ მზად იყო დამორჩილებოდა ნებისმიერ დიქტატს, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა ქართველი ხალხის ნებას და ამ გზით აეცილებინა ეს სამარცხვინო კაპიტულანტური ხელშეკრულება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დადგებოდა მისი ხელისუფლებაში ყოფნაარყოფნის საკითხი, რაც, დარწმუნებული ვარ, მისთვის ყოველთვის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა.

საპროტესტო აქცია, რომელიც დაიწყო მთავრობის სახლის წინ 27 ივლისს და გაგრძელდა სულ ოციოდე წუთს, არ მიმდინარეობდა ჩვეული ლოზუნგებით კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და რეჟიმისთვის გამაღიზიანებელი სხვა მოთხოვნებით. აქციაზე იყო ერთადერთი მოთხოვნა - "არა კაპიტულანტურ ხელშეკრულებას!" აქცია სამაგალითოდ და სასტიკად იქნა დარბეული თხუთმეტ წუთში, რაც მაძლევს უფლებას ვამტკიცო, რომ შექმნილ რთულ სიტუაციაში შევარდნაძე გამოსავალს არ ეძებდა. მას აბსოლუტურად ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია. შემდგომ ნათქვამი, რომ ის მოატყუეს, შეიძლება გულიდან არის გამომდინარე, მაგრამ საქმეს არ შველის. როდესაც ატყუებენ ერთ ადამიანს და ორი ათასი კაცი აფრთხილებს - ტყუვდებიო, სხვას მაინც უნდა მიუგდოს ყური, თუ თვითონ არც გამოცდილება ჰყოფნის და არც საჭირო ალღო აქვს ამგვარი საკითხების გადასაწყვეტად.

სხვათა შორის, 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება იღებდა ვალდებულებას, რომ აფხაზეთში დაებრუნებინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და შეეწყო ხელი მისი ფუნქციონირების განახლებისთვის. ფაქტობრივად, შევარდნაძის რეჟიმი პირობას დებდა, რომ ყოველგვარი ბრძოლისა და წინააღმდეგობის გარეშე შემოუშვებდა არძინბას აფხაზეთში. მე მაინტრესებს, ქართველ ერს თუ ატყუებდა, არძინბას რაღას ერჩოდა - რატომ არ შეუშვა სოხუმში უბრძოლველად, რატომ დააღვრევინა ამდენი ქართველის სისხლი.

მე დღეს განსასჯელთა სკამზე ვზივარ ჩემი პოზიციისა და იმ კოლექტიური გადაწყვეტილების გამო (მხედველობაში მაქვს უზენაესი საბჭოს 1993 წლის 2 სექტემბრის სესია ზუგდიდში), რომელსაც სრულიად მართებულად ვთვლი. მაგრამ ვიმეორებ, ეს იყო კოლექტიური გადაწყვეტილება. თანახმა ვარ, ვაგო ამაზე პასუხი, მაგრამ მაინტერესებს, რატომ არ უნდა აგოს პასუხი 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების ხელმოწერაზე პიროვნულად პასუხისმგებელმა ედუარდ შევარდნაძემ? ამ ხელშეკრულებას ხომ საქართველოსთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვა. ჩემს შემთხვევაში ბრალდება ამტკიცებს, რომ მე აუცილებლად უნდა მცოდნოდა, რა შედეგები მოჰყვებოდა ჩემს გადაწყვეტილებას. საინტერესოა, რატომ არ უჩნდება ბრალდებას იგივე კითხვა ქვეყნის მეთაურისა და მთავარსარდლის მიმართ: ჰქონდა თუ არა მას გაცნობიერებული, რა შედეგები მოჰყვებოდა 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებას?

ასეთივე საკითხია 1993 წლის 1 სექტემბერი: ევაკუაციის მაგივრად, ისევ პირადი პასუხისმგებლობით, მან დაარწმუნა საქართველოს მთელი მოსახლეობა, რომ სოხუმს არავითარი საშიშროება არ ელოდა და იქ შესაძლებელი იყო სწავლის დაწყება. არსად - არც ქარელში, არც გორში, არც აქ, თბილისში არ დაწყებულა სწავლა 1 სექტემბერს. სწავლა დაიწყო მხოლოდ სოხუმში.

მე ვსვამ კითხვას, უნდა აგოს თუ არა პასუხი ამ უმძიმეს შედეგებზე ადამიანმა, რომელმაც მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარ თავზე აიღო? და თუ უნდა აგოს, მაშინ ამიხსენით, რატომ ვზივარ განსასჯელის სკამზე მარტო? სად არის ის კაცი? ესაა ბოლო კითხვა.

(გაგრძელება იქნება)

# შიმშილობის ხანგრძლივობა კრიტიკულ ზღვარს გადასცდა

უზენაესი საბჭოს წევრი, პოლიტპატიმარი ნუგზარ მოლოდინაშვილი განაგრძობს 10 ივლისს დაწყებულ შიმშილობას. ამასთან დაკავშირებით, 31 ივლისს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ინიციატივით მიმდინარე აქციის მონაწილეებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდნენ ანა ჭავჭავაძე, ავთანდილ დავითაია და უზენაესი საბჭოს წევრი იოსებ ბარათაშვილი. გავრცელებულ განცხადებაში აქციის მონაწილენი მოუწოდებენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საინფორმაციო საშუალებებს, მისცენ ფართო რეზონანსი ამ შიმშილობის აქციასთან დაკავშირებულ ფაქტებს, თავადვე გამოიჩინონ აქტიურობა, მოითხოვონ მოშიმშილე პოლიტპატიმართან შეხვედრა და ობიექტურად ასახონ შექმნილი ვითარება.

მათი თქმით, ხელისუფლება ახდენს მოშიმშილე პოლიტპატიმრის მოთხოვნის იგნორირებას, შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, თითქოს თავად საერთაშორისო ორგანიზაციები და საინფორმაციო საშუალებები არ არიან დაინტერესებულნი ნუგზარ მოლოდინაშვილის ბედით. 30 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა განაცხადა, რომ მოლოდინაშვილთან შეხვედრის მოთხოვნით მისთვის არ მიუმართავს არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, წითელი ჯვარის გარდა. აქციის მონაწილეთა თქმით, ეს წარმოადგენს მორიგ სიცრუეს, რომელიც მიზნად ისახავს რეალური ვითარების მიჩქმალვას და პასუხისმგებლობის არიდებას. ნუგზარ მოლოდინაშვილთან საპატიმროში საუბრის შემდეგ, პატიმართა საპარლამენტო ქვეკომისიის თავმჯდომარე, ქ-ნი ელენე თევდორაძე, ამგვარი შეხვედრის ორგანიზების მიზნით, პირადად ეახლა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს, სადაც მას განუცხადეს მზადყოფნა შეხვდნენ მოშიმშილეს. ამის შესახებ ქ-ნმა თევდორაძემ საქმის კურსში ჩააყენა ა. ალადაშვილი, რომელმაც უხეში, მოსამართლისთვის უკადრისი ფორმით უარი განუცხადა მას.

ეს ფაქტი იქვე დაადასტურა გელა ნიკოლაიშვილმა, რომელიც ე. თევდორაძის თხოვნით ესწრებოდა პრესკონფერენციას და აღნიშნა, რომ ალადაშვილის გამოხდომა მიმართული იყო სწორედ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისადმი.

პრესკონფერენციაზე ყურადღება იქნა გამახვილებული იმაზე, რომ აქციის ხანგრძლივობა ნუგზარ მოლოდინაშვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება და რომ ახლახან თურქეთის რესპუბლიკაში ტრაგიკული შედეგი მოჰყვა მსგავსი საპროტესტო შიმშილობის უგულებელყოფას ხელისუფლების მხრიდან.

"უარის მიზეზად გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი ასახელებს იმას, რომ ნუგზარ მოლოდინაშვილი ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის გავრცელებაც ზიანს მოუტანს სახელმწიფოს. როგორც ჩანს, შიმშილობის აქციის სრული უგულებელყოფით, ხელისუფლება მიზნად ისახავს მისთვის საშიში პიროვნების ფიზიკურ განადგურებას.

თავად ეს მოტივი სამომავლოდ საფრთხეს შეიცავს ზოგადად მთელი საზოგადოებისთვის. შეგახსენებთ, რომ ინფორმაციის გავრცელების ბრალდებით მოქალაქეთა რეპრესირება ძველი საბჭოთა პრაქტიკაა და იგი ნებისმიერ თქვენგანს შეიძლება შეეხოს." - ითქვა პრესკონფერენციაზე.

ი. დ.

# სოსო ელენტმა სცადა თვითმკვლელობა

კანონიერი ეროვნული გვარდიის გურია-იმერეთის პოლკის მეთაურს, სამხედრო ტყვეს, სოსო ელენტს, მის მიერ ადრე გაკეთებული საპროტესტო განცხადების თანახმად, 1 აგვისტოს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა.

როგორც ნათქვამია საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ინფორმაციაში, სოსო ელენტმა მიიღო დიდი რაოდენობით მედიკამენტები, თუ რა დასახელების, ჯერჯერობით უცნობია. დიაბეტით დაავადებულ სოსო ელენტს განუვითარდა კომატოზური მდგომარეობა, რომლიდანაც მისი გამოყვანა ექიმთა დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა.ავადმყოფის მდგომარეობა ჯერჯერობით საგანგაშოა და უცნობია, თუ რა შედეგს გამოიღებს დიაბეტით დაავადებული ორგანიზმის მოწამვლა.

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

*დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე*

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




## მეთერთმეტე თავი
## მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლი

1852 წელს კავკასიელ ხალხთან სოლიდარობის ბრიტანულმა კომიტეტმა იმამ შამილს, რომელიც კავკასიის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ორ ათწლეულზე მეტ ხანს უწევდა წინააღმდეგობას რუსეთის არმიას, შესანიშნავი დროშა გადასცა. მასზე გამოსახული იყო სამი ვარსკვლავი. როგორც წარმოგზავნილმა ბრიტანელმა ოფიცრებმა განმარტეს, ვარსკვლავები სიმბოლურად გამოხატავდნენ დაღესტანს, ჩერქეზეთსა და საქართველოს.

დღევანდელი ისტორიკოსებისთვის უცნობია, რა აზრი ჩადო ბრიტანულმა კომიტეტმა დროშის სიმბოლიკაში, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად ზოგიერთი ქართველის მიერ რუსული პოლიტიკური კურსის მონური მხარდაჭერისა, შამილი ქართველებს ნამდვილ მოკავშირეებად თვლიდა და არაერთხელ დაუდასტურებია თავისი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ, რასაც ნათელყოფს რუსების მხარეს მებრძოლი ქართველებისადმი გაგზავნილი მისი მრავალრიცხოვანი წერილები. კავკასიის თავისუფლებისთვის მებრძოლ სარდალს შესანიშნავად ესმოდა, რომ ქართველების მხარდაჭერის გარეშე, რუსები ვერასდროს დაიპყრობდნენ კავკასიას.

აშკარაა, ინგლისელებს აწყობდათ კავკასიის ერთიანობა, თუმცა მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. მოხდა პირიქით - თბილისი რუსეთის მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტად იქცა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ მკაცრად გააკრიტიკა ქართველთა ამგვარი სიბეცე. ბრიტანეთის იმპერიის შემქმნელთა კვალად, რომელნიც ერთიან კავკასიას სიცოცხლისუნარიან სახელმწიფო სტრუქტურად აღიარებდნენ, ილია ჭავჭავაძისთვისაც ერთიანი კავკასიის იდეა სათაყვანებელ ხატ[illegible] ქცეული იყო, რასაც თავის ნაწარმოებებში განადიდებდა. ის ოცნებობდა დროზე, როცა კავკასიის ხალხები ერთი აზრით, ერთი იდეით გაერთიანდებოდნენ.

როცა მოგვიანებით მენშევიკებმა დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს, აზრადაც არ მოსვლიათ ჩრდილოეთ კავკასია თავიანთ ტერიტორიაში გაეერთიანებინათ. მათი პოლიტიკური მიზნები ყოველთვის რაღაც ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხისკენ იყო მიმართული და არასოდეს უმოქმედიათ სამომავლოდ გათვლილი გეგმით. სამაგიეროდ, სხვაგვარად ფიქრობდნენ საბჭოთა პრაგმატიკოსები. მათ კარგად ესმოდათ, რომ სათითაოდ ყველა კავკასიური ქვეყანა უნდა დაემორჩილებინათ, რათა დაერღვიათ კავკასიის ძლიერება და ამ ხალხთა მისწრაფება ერთიანობისკენ. 1991 წელს პრეზიდენტმა გამსახურდიამ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ცნო, რითაც კავკასიის მთლიანობის იდეა კვლავ გაცოცხლდა ქართველთა ცნობიერებაში. მისმა ამგვარმა ნაბიჯმა მოსკოვის პოლიტიკის მხარდამჭერ მის ოპონენტებში მძაფრი გულისწყრომა გამოიწვია. საქართველოს მიერ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ სულ ცოტა ხანში, გროზნოს აეროპორტში რუსეთის თვითმფრინავებმა კარგად გაწვრთნილი სპეციალური შენაერთები გადმოსვეს, დაახლოებით 1000 კაცი. ამ ჯარის ნაწილებს პირადად ხელმძღვანელობდა ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შექმნილი ვითარების მნიშვნელობას. რუსების [illegible]ნკრეტული მიზანი იყო ურჩი გენერ[illegible]ს - მთელი ჩეჩენი ხალხის მიერ პრეზიდ[illegible]ნტად არჩეული ჯოხარ დუდაევის და მისი პარლამენტის განადგურება. მაგრამ არც ჯოხარ დუდაევს ეძინა. მალე დაუპატიჟებელი "სტუმრები" კარგად შეიარაღებული ჩეჩენი გვარდიელების ალყაში აღმოჩნდნენ. რუსებს ისღა დარჩენოდათ, ორგანიზებულად უკან დაბრუნებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის ღვრა და მათი სამარცხვინო დამარცხება გარდუვალი გახდებოდა. მათ უკან დახევა აირჩიეს. საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, პრეზიდენტი გამსახურდია ჩეჩნეთმა შეიფარა. ორივე პრეზიდენტი - გამსახურდიაც და დუდაევიც - ერთიანი კავკასიის შექმნაზე ოცნებობდა. ამ უმთავრესი მიზნის რეალური განხორციელებისთვის 1992 წლის 5 სექტემბერს მათ დააფუძნეს კავშირი "მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლი". ორი პრეზიდენტის ამ პოლიტიკურ ინიციატივას მხარი დაუჭირა ელჩიბეიმ - შემდგომში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა. სომხებმა თავი შეიკავეს და "მწვანეთა პარტიის" წარმომადგენელი მოავლინეს ჩეჩნეთის დედაქალაქში დამკვირვებლის სტატუსით. დასკვნითი დოკუმენტის წაკითხვას გროზნოში საკუთარი ინიციატივით ჩამოსული კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ამ ისტორიული მოვლენის ყველა მოწმემ ერთხმად მოიწონა კომუნიკე, რომლის ტექსტს ქვევით ვაქვეყნებთ:

"ჩვენ, "მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლის" წევრები, შევიკრიბეთ რა კავკასიის ქვეყნების ხალხთა გაერთიანების მიზნით, შევთანხმდით შემდეგ საკითხებზე:

1. მოვუწოდებთ კავკასიის ხალხებს, სახელმწიფოებს, საზოგადოებრივ და რელიგიურ გაერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს მხარი დაგვიჭირონ "კავკასიური სახლის" დაფუძნებაში, სადაც ყველა ცალკეულ ხალხს გარანტირებული ექნება თავისუფალი განვითარების ხელშეუხებლობა და შესაძლებლობა;

2. მოვუწოდებთ კავკასიის ტერიტორიაზე* კონფლიქტში მყოფ ქვეყნებს, შეწყვიტონ სამხრი მოქმედებები და საკამათო საკითხები მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ;

3. ვგმობთ საქართველოში მომხდარ შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას და დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელსაც ე.წ. "სახელმწიფო საბჭო" შევარდნაძის მეთაურობით ახორციელებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობის მხრიდან ქართველი და [illegible] ხალხების წინააღმდეგ არის მიმართული. ასევე ვგმობთ კონსტიტუციურად გაუმართლებელი არჩევნების ჩატარების ცდას. მოვითხოვთ საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების დაუყოვნებლივ აღდგენას და აფხაზეთის ტერიტორიიდან დამსჯელი რაზმების გაყვანას;

4. ჩვენ ვქმნით იურისტთა ჯგუფს კავკასიის ხალხთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესასწავლად და გამოსავლინებლად;

5. მოვუწოდებთ რუს ხალხს, მხარი დაუჭირონ კავკასიის ხალხთა მისწრაფებას მშვიდობიანი თანამეზობლური ურთიერთობისკენ;

6. მოვითხოვთ რუსეთის მთავრობისგან ყოფილი საბჭოთა კავშირის სიმდიდრის (სამხედრო აღჭურვილობისა და იარაღის ჩათვლით) სამართლიან გადანაწილებას კავკასიის სახელმწიფოებზე;

7. დასკვნით დოკუმენტში ასახული მიზნების პრაქტიკული განხორციელების მომზადების მიზნით, ვქმნით სამუშაო ჯგუფს, რომლის მუშაობის შედეგი წარედგინება "მრგვალი მაგიდა - კავკასიური სახლის" ყველა წევრს და მონაწილე დელეგაციებს. ვიმედოვნებთ, ყველა დაინტერესებული ქვეყანა აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

კომუნიკეს დასკვნითი დოკუმენტი მიღებულია გროზნოში 1992 წლის 4-5 სექტემბრის შეკრების დამთავრების შემდეგ.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თამარ იაშვილმა*

(თავის გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

## No 29 (in brief)

6 - 12 August 1996

## Soso Zhgenti made an Attempt of Suicide

On August 1, the commander of the Guria-Imereti detachment of the lawful National Guards Mr. Soso Zhgenti in accordance with his previous protest statement made an attempt of suicide in the Prison Hospital. According to the information provided by Human Rights Commission of Helsinki Union of Georgia Mr. Soso Zhgenti swallowed large amount of medications; specifically what medications is unknown yet. Soso Zhgenti who has diabetes mellitus developed coma and only considerable efforts of the physicians allowed to save his life. The health state of the patient is still very serious and nobody can say what effect would have the medicinal poisoning on the diabetic patients organism.

## The Health State of Khvicha Jokhadze is Critical

Political prisoner 27 years old Khvicha Jokhadze who has an acute form of TB was moved from the Ksani Colony to the Republican Prison Hospital only after the state of his health became critical and the administration of the Prison Department themselves admitted that his life was endangered.

According to the opinion of the specialists surgical intervention which would have been effective and timely some time ago is presently dangerous since the patient may not endure the operation. Some hope lies in intensive conservative therapy on the background of the adequate diet and regime. It is evident that, in present day Georgia such medical service is very expensive even at large to leave alone the prison hospital.

The individual members of the International Human Rights Organization, IGFM, Mrs. Lali Lomadze, Mts. Lia Beruashvili, Mrs. Maya Kereselidze as well as the Human Rights Commission of Helsinki Union of Georgia demand immediate release of Mr. Khvicha Jokhadze (in accordance with Article 37 of the Code of Procedure of Georgia) and meanwhile start intensive treatment of the prisoner under the supervision of the skilled physicians.

## Duration of the Hunger-Strike is Beyond the Critical Limit

The member of the Supreme Council, political prisoner Mr. Nugzar Molodinashvili continues his hunger-strike which he began on July 10. In relation to this fact the participants of the action which was arranged under the initiative of Helsinki Union of Georgia in the yard of the house-museum of Merab Kostava held a press-conference chaired by Mrs. Anna Chavchavadze, Mr. Avtandil Davitaia and member of the Supreme Council Mr. Joseph Baratashvili. In the statement which was distributed to the journalists the participants of the action were appealing to the International Organizations and mass media to show active response in relation to the facts of this hunger-strike, to show initiative and demand meeting with the political prisoner on hunger-strike and provide objective picture of the situation created.

They claimed that the authorities ignore the demands of the political prisoner on hunger-strike misinform the society saying that the International Organizations and mass media representatives themselves are not interested in the fate of Mr. Nugzar Molodinashvili. At the Court Session of July 30 the judge Alexandre Aladashvili declared that not a single International Organization except for the red Cross Organization, has ever appealed to him with the request to meet Mr. Molodinashvili. As the participants of the action say such declaration of the judge is another lie in the long series of lies, its sole reason being to hush-hush the real situation and avoid responsibility. The Chairman of the Parliamentary Subcommission for Prisoners Mrs. Elene Tevdoradze after she had had conversation with Mr. Molodinashvili in prison, has visited International Organizations and Embassies where she was informed about the readiness of the above organizations to meet Mr. Molodinashvili. Mrs. E. Tevdoradze informed about it the judge Aladashvili who refused to satisfy the request of Mrs. Elene Tevdoradze in most rude and unacceptable for the judge form. This fact was also confirmed by Mr. Gela Nikolaishvili who under the request of Mrs. E. Tevdoradze was attending the press-conference. He stressed that the behavior of the judge Aladashvili was directed against the foreign countries representatives.

At the press-conference special attention was drawn to the fact that the duration of hunger-strike is reaching to the critical limit for the health and life of Mr. Molodinashvili especially as recent similar protest hunger-strike in Turkey led to the tragic results due to its ignoring by the authorities of Turkey.

The Deputy Prosecutor general Revaz Kipiani explains the refuse to allow Mr. Molodinashvili to meet International Organizations and mass media representatives by the fact that Mr. Molodinashvili has information which being publicized can be harmful for the State interests. Under such circumstances it seems that the authorities by ignoring the fact of this hunger-strike are intending to physically eradicate the person which they believe is dangerous for them.

This motive as such is dangerous on the whole for the society. We would like to remind you that repression under the pretense of information distribution is an old Soviet practice and it can affect anyone of you. - was emphasized at the press-conference.

To The International Organisations
Governments and Parliaments of the World Countries
All People of Good Will of the Earth

## APPEAL

of the representatives of the Georgian society

On July 10, 1996 the member of the exiled Supreme Council of the Republic of Georgia Mr. Nugzar Molodinashvili who is presently in jail declared a hunger-strike demanding to arrange his meeting with the representatives of the international organizations and mass media.

We are aware that Mr. Molodinashvili's state of health is aggravating from day to day and his life is endangered.

Notwithstanding that the authorities of Georgia do not hurry to make decision and do nothing to satisfy the lawful demands of the defendants, though they are based on the accepted international norms.

We, the representatives of the Georgian society express our concern about the created situation and consider such ignoring of the people under arrest unacceptable. He appeal to you to undertake all possible measures to satisfy the hunger-striker Nugzar Molodinashvili's demand to avoid the tragic results.

**Mr. Nodar Tsuleiskiri** - writer
**Mr. Gogi Ochiauri** - artist, chairman of the Artists' Union of Georgia
**Mr. Irakli Ochiauri** - sculptor
**Mr. Mukhran Machavariani** - poet
**Mr. Giorgi Mrevlishvili** - physicist, professor, member of New York Academy
**Mr. Vakhtang Bochorishvili** - Academician of Medico-Biological Academy, member of New York Academy
**Mr. Nodar Ughrelidze** - radio engineer, professor, member of New York Academy
**Mr. Boris Berulava** - physicist, professor
**Mr. Leri Gogoladze** - mathematician, professor, Honorary member of Mathematical Society of USA, Olimpic Champion
**Mr. Giorgi Bughadze** - artist
**Ms. Olgha Kostava** - mother of the national hero Merab Kostava
**Mr. Alexandre Koreli** - Academician of Medico - Biological Academy
**Mr. Guram Mchedlidze** - corresponding member of Academy of Science
**Mr. Zurab Urushadze** - physicist, professor
**Ms. Guranda Ghvalidze** - biologist, professor
**Mr. Merab Eliozishvili** - writer
**Ms. Ia Mukhraneli** - journalist
**Ms. Tsitsino Kakhabrishvili** - multiple chess champion of Georgia
**Mr. David Kadagidze** - philologist
**Ms. Iato Kotetishvili** - psychologist,professor
**Mr. Devi Ugrekhelidze** - corresponding member of Academy of Science of Georgia,professor
**Mr. Vladimer Shavgulidze** - chemist, professor
**Ms. Nana Lezhava** - chemist, professor
**Mr. Revaz Ramishvili** - corresponding member of Academy of Agricultural Science of Georgia
**Mr. Shota Gogolashvili** - honoured artist of Georgia, owner of the European "Oscar"
**Ms. Elene Obolashvili** - mathematician, professor
**Mr. Aleksandre Bokuchava** - honoured trainer of Georgia, chess player
**Mr. Otar Koberidze** - national actor of Georgia
**Ms. Lia Eliava** - national actress of Georgia
**Mr. Edmund Kalandadze** - national artist of Georgia
**Mr. Jondo Bardavelidze** - professor
**Ms. Mzia Andronikashvili** - professor, corresponding member of Academy of Science of Georgia
**Mr. Giorgi Chogoshvili** - Academician of Academy of Science of Georgia
**Mr. Dimitri Eristavi** - artist

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441

იბეჭდება ს/ ს კეგელში